საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახური

..6200 ქალაქი ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141 ტელ: 0426-26-72-09
Email: Kobuletimunicipality@gmail.com

N 01-19/12613
21/10/2021

12613-01-19-2-202110211540

მოქალაქე: ნაზიბროლა რეხვიაშვილს

მისამართი: ქ.ბათუმი, წერეთლის ქ.6 ბ.№43

თქვენი მიმდინარე წლის 7 ოქტომბრის № 13914/01 განცხადების პასუხად, მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამისშესახებ ინფორმაციის მიწოდებისთაობაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით გაწვდითმოთხოვნილ ინფორმაციას:

- 2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით მუნიციპალური უფასო სასადილო ემსახურებოდა ყოველწლიურად 280 ბენეფიციარს, 2021 წელს ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა და შეადგენს 300 ბენეფიციარს.
- ერთი ადამიანის კვების ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართი 1 -ის სახით.
- 30 ადამიანი ითვლება მომლოდინედ.
- ბენეფიციართა შერჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმებით: ბენეფიციარი რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალური მომსახურეობის სააგენტოში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 0-დან 100 000-ჩათვლით; მარტოხელა პენსიონერი; დედ-მამით ობოლი ბავშვი;უსახლკარო;მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოსახული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;მარჩენალდაკარგული;მრავალშვილიანი (18 წლამდე 5 და მეტი შვილი) ოჯახი. მოქალაქემ ბენეფიციარად დარეგისტრირების მიზნით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტი: განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე; პირადობის მოწმობის ასლი; პროგრამით მოსარგებლის შერჩევის წესის შესაბამისად უმწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (უმწეობაზე, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე, ინვალიდისა და მარჩენალდაკარგულზე ცნობა ან მოწმობა სოციალური სუბსიდიების სააგენტოდან, უსახლკარომ-ცნობა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულიდან).
- სიიდან ბენეფიციარის ამოღება ხდება მუნიციპალური სასადილოს მხრიდან ბენეფიციარის სისტემატიური გაცდენის შესახებ შეტყობინების საფუძველზე, ასევე იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი გარდაიცვალა, ხოლო ახალი ბენეფიციარის დამატება ხდება იმ შემთხვევაში თუ ის აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მუნიციპალური უფასო სასადილოს სია

თავისუფალია, სხვა შემთხვევაში ბენეფიციარი ითვლება მომლოდინედ და ხდება მისი დამატებით სიაში შეყვანა.

გივი ვერულიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ადმინისტრაციული სამსახური